

გიორგი
ესკლედინი

ბიობიბლიოგრაფია



(მეცნიერება) 1978

Георгий
Ахвледиани

(1887–1973)

Биобиблиография



Издательство «Мецниереба»
ТБИЛИСИ
1978

გიორგი
სხულედიანი

(1887-1973)

ბიოზიბლიოგრაფია



გამომცემლობა «მეცნიერება»

თბილისი

1978

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გიორგი ახვლედიანის ბიობიბლიოგრაფიაში თავმოყრილია 1914—1977 წლების ლიტერატურა: სამეცნიერო შრომები, რეცენზიები და გამოხმაურებები ამ შრომებზე, ლიტერატურა გიორგი ახვლედიანის შესახებ.

მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურად. ბიობიბლიოგრაფიას წინ უძღვის გ. ახვლედიანის მოკლე ბიოგრაფია, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მიმოხილვა. ერთვის შრომების ანბანური და სახელთა საძიებელი.

В биобиблиографии академика Академии наук Грузинской ССР, члена-корреспондента Академии наук СССР Георгия Саридановича Ахвледiani собрана литература 1914—1977 годов: научные труды, рецензии на них, труды, изданные под редакцией Г. С. Ахвледiani, и литература о нем.

Материал расположен в хронологическом порядке. К биобиблиографии предпосланы краткая биография и очерк научной и общественной деятельности Г. С. Ахвледiani, прилагаются алфавитный указатель трудов и именной указатель.

ბიობიბლიოგრაფიული სერიის მთავარი სარედაქციო კოლეგია: შ. ძიძიგური (მთ. რედ.), ლ. გაბუნია, თ. დავითაია, მ. დარასელია, ვ. კუპრაძე, ვ. მახალდიანი, ვ. ოკუჯავა, ა. ფრანგიშვილი, გ. ციციშვილი, ს. ხადური (მდივანი)

შემდგენლები: მ. ბარკავა, ე. დოლიძე

რედაქტორები: შ. ძიძიგური, ს. ხადური

ბიბლიოგრაფიული რედაქცია თ. ნაკაშიძისა

Главная редакционная коллегия биобиблиографической серии: Ш. В. Дзидзигури (гл. ред.), Л. К. Габуния, Ф. Ф. Давитая, М. К. Дараселия, В. Д. Купрадзе, В. В. Махалдiani, В. М. Окуджава, А. С. Прангишвили, Г. В. Цицишвили, С. А. Хадური (секретарь).

Составители: М. И. Баркава, Э. Г. Долидзе.

Редакторы: Ш. В. Дзидзигури, С. А. Хадური.

Библиографическая редакция Т. Е. Накашидзе.



გიორგი ახვლედიანი

(სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)

გიორგი ახვლედიანი მრავალმხრივი მკვლევარი იყო და ლინგვისტური მეცნიერების რამდენიმე დარგში უხდებოდა მოღვაწეობა. ზოგადი ენათმეცნიერება, ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა, ლოგოპედია, ინდოევროპული ენები, ქართველური ენები, — ამ სფეროებში გ. ახვლედიანმა ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომები შექმნა; ზოგი მათგანი ფუძემდებელი ხასიათისაა და ფართო პერსპექტივებს შლის მეცნიერული კვლევა-ძიების სარბიელზე.

გ. ახვლედიანი არ გახლავთ კარჩაკეტილი და ვიწრო პროფესიული ინტერესებით შემოზღუდული მეცნიერი. იგი იყო ფართო საზოგადოებრივი მიზანსწრაფვით დაჯილდოებული ადამიანი. მან მსურვალე მონაწილეობა მიიღო თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში და თავისი ავტორიტეტით, უნივერსიტეტის პირველ პროფესორებთან ერთად, სახელს უქმნიდა ჩვენს ნორჩ უმაღლეს სასწავლებელს. ამ დროიდან მოყოლებული, გ. ახვლედიანი საქართველოში მეცნიერული მშენებლობის ერთ-ერთი მეთაურია და კულტურული აღორძინების დიდი ენთუზიასტი. მისი აქტიური მონაწილეობით ჩვენში დაარსდა რამდენიმე პედაგოგიური ინსტიტუტი (ზოგი მათგანის დირექტორი თუ სასწავლო ნაწილის გამგეც გახლდათ). იგია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი (სხვადასხვა დროს რამდენიმე საპასუხისმგებლო პოსტიც ეკავა), „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ დაარსების ინიციატორი (ა. შანიძესთან ერთად) და მისი უცვლელი თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერ-მუშაკთა სექციის თავმჯდომარე (ათი წლის მანძილზე), მეცნიერული კაბინეტებისა და ლაბორატორიების დამაარსებელი, საკავშირო თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესების აქტიური მონაწილე, საზოგადოება „ცოდნის“ დამაარსებელთაგანი და მისი ერთ-ერთი სექციის თავმჯდომარე, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთ-

ბის საქართველოს საზოგადოების ერთ-ერთი განყოფილების თავმჯდომარე, სალიტერატურო ქართულის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრი, საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების სასცენო მეტყველების სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და სხვ.

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „ტფილისის უნივერსიტეტში ენათმეცნიერების დარგის შექმნა სამი პირის: პროფ. იოს. ყიფშიძისა, პროფ. აკ. შანიძისა და პროფ. გ. ახვლედიანის დეაწლს შეადგენს. პირველი მათგანის, სამწუხაროდ, უდროოდ გარდაცვალების გამო უდიდესი ტვირთი ორს უკანასკნელს დააწვა“.

გ. ახვლედიანი დაიბადა 1887 წ. 13 აპრილს სოფ. დერჩში (ლეჩხუმში) სარიდან ახვლედიანის ოჯახში (დედა — ევგრასტი ასათიანი). სარიდანს მეფის სამხედრო სამსახურში 15 წელი გაუტარებია და ორდენებითა და მედლებით დაუჯილდოებიათ.

წერა-კითხვა პატარა გოგას დედამ შეასწავლა. 1894 წ. იგი შეიყვანეს დერჩის სამრევლო სკოლაში; შემდეგ სწავლას აგრძელებს ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში (აქ ქართულ ენასა და ლიტერატურას სილოვან ხუნდაძე ასწავლიდა); შემდეგ გადავიდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. 1905 წ. რევოლუციასთან დაკავშირებით გიორგი არალეგალურ მუშაობაში ჩაბმულა, 1906 წ. დაუპატიმრებიათ და არხანგელსკში გადასახლება მიუსჯიათ. 1908 წ. იგი ამთავრებს გიმნაზიას. 1910 წელს გ. ახვლედიანი ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი.

გ. ახვლედიანმა უნივერსიტეტში საფუძვლიანი განათლება მიიღო როგორც ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში, ისე კლასიკურ ფილოლოგიაში.

ხარკოვის უნივერსიტეტში გიორგიმ ჩამოაყალიბა რევოლუციურ სტუდენტთა წრე, რის გამოც 6 თვით დააპატიმრეს.

გ. ახვლედიანმა უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში დაწერა მეცნიერული ნაშრომი «Очерк истории плавных и носовых согласных в санскрите, греческом, латинском и славянских языках», რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

გ. ახვლედიანის ამ პირველი მეცნიერული შრომის რეცენზია გამოაქვეყნა პროფ. ენქელინმა „ხარკოვის უნივერსიტეტის მოამბეში“ 1914 წელს.

გამოკვლევის მაღალმა ხარისხმა და იმ აღიარებამ, რაც მოიპოვა მან შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების დიდი ავტორიტეტის — ენძელინის რეცენზიაში, საბოლოოდ განსაზღვრა ახალგაზრდა გ. ახვლედიანის მომავალი ბედი და მეცნიერული პერსპექტივა.

1915 წელს გ. ახვლედიანი უკვე „საპროფესოროდ მოსამზადებლად“ დატოვებულია (აწინდელი ტერმინოლოგიით — ასპირანტი) ხარკოვის უნივერსიტეტში შედარებითი ინდოევროპულ ენათმეცნიერების კათედრაზე.

მალე ასპირანტი გ. ახვლედიანი გაიგზავნა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც უსმენდა ისეთ გამოჩენილ მეცნიერებს, როგორც იყვნენ: ნ. მარი (ქართული ფილოლოგია), კ. ზალემანი (ირანული ფილოლოგია), თ. შჩერბაცკი (ინდური ფილოლოგია), ლ. შჩერბა (ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა) და სხვ.

თბილისის უნივერსიტეტის დაარსების დროს გ. ახვლედიანი ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის პირველ მუშაკთა სახელოვან რიგებშია. მას წილად ხვდა პიონერობა ისეთ დისციპლინებში, როგორცაა ზოგადი ენათმეცნიერება და ზოგადი ფონეტიკა.

გ. ახვლედიანი იყო ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგე. კათედრამ ისტორიული როლი შეასრულა საქართველოში საენათმეცნიერო აზროვნების დანერგვასა და განვითარებაში.

გ. ახვლედიანი, როგორც ფართოდ განათლებული ლინგვისტი, თავიდანვე კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა საენათმეცნიერო დისციპლინაში. ესენია: ენათმეცნიერების შესავალი, ზოგადი ენათმეცნიერება, ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია, ზოგადი ფონეტიკა, ექსპერიმენტული ფონეტიკა, სანსკრიტი, ბერძნული ენა, რუსული ენის ისტორია და დიალექტოლოგია ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკა. ამასთანავე, ერთხანს კითხულობდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის კურსს, ლოგოპედიას და სხვ.

1923 წლის 8 თებერვალს გ. ახვლედიანის ინიციატივით მოწვეულ იქნა ქართველ ენათმეცნიერთა და ფილოლოგთა დამფუძნებელი კრება, რომელმაც დაადგინა „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ დაარსება. თავმჯდომარედ აირჩიეს გ. ახვლედიანი.

გ. ახვლედიანი 1932 წელს აირჩიეს ექსპერიმენტული ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოების წევრად, 1940 წელს — ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების წევრად.

გ. ახვლედიანი, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში და უცხო-

ეთში ცნობილი მეცნიერი, 1939 წელს აირჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

გ. ახვლედიანი სხვა მოწიხავე ქართველ მეცნიერებთან ერთად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელია. იგი შევიდა აკადემიის წევრთა პირველ შემადგენლობაში (1941 წ.) და სხვადასხვა დროს ეკავა საპასუხისმგებლო თანამდებობები აკადემიის აკადემიკოს-მდივნისა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარისა, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორისა და სხვ.

1942 წელს გ. ახვლედიანი შედის საკავშირო კომუნისტური პარტიის რიგებში.

გ. ახვლედიანი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, „სპატიო ნიშნის“ ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენითა და მედლებით.

გ. ახვლედიანი გარდაიცვალა 1973 წლის 7 ივლისს და დაკრძალულია თბილისის უნივერსიტეტის ბაღში.

გ. ახვლედიანმა ენათმეცნიერების პროპედევტიკური კურსის კითხვა ჩვენს უნივერსიტეტში დაიწყო 1918 წლიდან.

1918—1919 წწ. დაიბეჭდა ახალგაზრდა პროფესორის წიგნი „ენათმეცნიერების შესავალი“ სამ ნაკვეთად. ეს არის, საერთოდ, პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, გამოცემული თბილისის უნივერსიტეტის მიერ.

საყურადღებოა ამ ნაშრომზე პროფ. არნ. ჩიქობავას აზრი („ზოგადი ენათმეცნიერება. II“, 1945 წელი): „26 წლის წინათ გამოვიდა გ. ახვლედიანის „ენათმეცნიერების შესავალი“ (სამ ნაკვეთად). ეს იყო პირველი „ზოგადი ენათმეცნიერება“ ქართულ ენაზე. ეს შრომა იმხანად რუსულ ენაზე არსებულ ანალოგიურ სახელმძღვანელოთა შორის გამოირჩეოდა შინაარსის სიმდიდრითა და საკითხთა დამუშავების მაღალი დონით. ამ სახელმძღვანელოზე — ქართულად — ენათმეცნიერების ანბანი გაიკვეთა არა ერთმა თაობამ“ (ხაზი ჩემია. შ. დ.).

ახვლედიანისეული კურსის ერთი უმთავრესი ღირსება და თავისებურება ისაა, რომ თეორიული საკითხები გაშლილია არა მარტოდენ ევროპული ენების მასალაზე, არამედ საილუსტრაციო ნიმუშები მოხმობილია ქართული ენის სინამდვილიდანაც. ამრიგად, ეს არის ენათმეცნიერების პირველი სახელმძღვანელო, რომელშიც

ზოგადლინგვისტური ცნებები და მოვლენები გაშუქებულია ქართული ენის ბგერითი სისტემისა და მორფოლოგიურ-სინტაქსურ-ლექსიკური ფაქტების ანალიზის საფუძველზედაც.

გ. ახვლედიანი უპირატესად ფონეტიკოსი იყო. მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის განვითარებას.

ფონეტიკის საუნივერსიტეტო კურსი ჩვენში პირველად გ. ახვლედიანმა წაიკითხა, მეცნიერული შრომები ფონეტიკის დარგში პირველად მან დაგვიწერა, ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიები პირველად მან დააარსა, სისტემატური სახელმძღვანელოს შექმნა ამ დარგში მისივე დამსახურებაა.

გ. ახვლედიანის ფუნდამენტური წიგნი „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ საერთაშორისო ფონეტიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია. ფონეტიკის ზოგადი პრობლემების კვლევა ქართული ენის მასალაზე გ. ახვლედიანის სახელთანაა დაკავშირებული.

ფონეტიკური პრობლემების კვლევის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებისათვის, — მით უმეტეს, მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე, — აუცილებელი იყო ექსპერიმენტული ლაბორატორიები და კაბინეტები. ოცდაათიან წლებამდის თბილისში ფონეტიკური კვლევის მეთოდი იყო უმთავრესად უშუალო დაკვირვება ცოცხალ წარმოთქმაზე და ისტორიულ-შედარებითი შესწავლა ქართველურ და კავკასიურ ენათა ფონეტიკური მოვლენებისა. დღის წესრიგში დადგა ექსპერიმენტული კვლევის გაშლა სათანადო მეცნიერული ბაზის საფუძველზე. თბილისის უნივერსიტეტში გ. ახვლედიანის მეცადინეობითა და თაოსნობით მოეწყო ექსპერიმენტული ფონეტიკის კაბინეტი (გამგე — გ. ახვლედიანი). 1936 წელს შეიქმნა ფონეტიკური კაბინეტი (გამგე — გ. ახვლედიანი) ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში. კაბინეტმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართულის, ჭანურის, სვანურის, აფხაზურის, ლაკურისა და აგრეთვე შუა აზიის არაბული ცოცხალი მეტყველების კიმოგრაფიულ და ფონოგრაფიულ ჩაწერას. ქართველურ და კავკასიურ ენათა ბგერითი შედგენილობის შედარებითი შესწავლა წარიმართა სინოპტიკური ცხრილების შედგენის სახით არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და ბგერების ექსპერიმენტულად შემოწმების საფუძველზე.

1922 წელს გამოქვეყნდა გ. ახვლედიანის შესანიშნავი გამოკვ-

ლევია „მკვეთრი ხშულნი ქართულში“, რომელიც უაღრესად საყურადღებოა ზოგადი ფონეტიკის თვალსაზრისითაც. აქ დადგენილია აბრუპტივების ბუნება.

გ. ახვლედიანმა დაადგინა ქართული წარმოთქმის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ტენდენცია, რაც მდგომარეობს თანხმოვანთა კომპლექსების წარმოთქმისას ერთჯამიერობისაგან მიდრეკილებაში; ამის საფუძველზედაც აიხსნება ქართული წარმოთქმის თავისებურებანი.

„ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხებში“ (1938 წ.) მკვლევარმა ყურადღება მიაქცია საარტიკულაციო წერტილების თანამიმდევრობას ქართულ თანხმოვანთა შეერთებისას. თანხმოვანთა შეერთების სხვადასხვა თანამიმდევრობას ავტორმა უწოდა „იქითურა“ და „აქეთურა“ და გამოიყენა მარცვალთვასაყარის დადგენისათვის. შემდეგ მან გამოაქვეყნა შრომა „გუტურალთა რეგრესულ-დისიმილაციური დაკარგვა ქართულში“ (1944 წ.), 1945 წ., როცა ამავე თანამიმდევრობის თავისებურებამ ახსნა ძველი ფრანგულის ერთი კანონზომიერება, ამ თანამიმდევრობას დაერქვა სახელად „აქცესიური“ (აქეთური), ხოლო საწინააღმდეგოს — „დეცესიური“ (იქითური). თანხმოვანთა წარმოების აქცესიურ-დეცესიური თანამიმდევრობის განსხვავებულობის გათვალისწინება რეალური დასაყრდენი აღმოჩნდა ზოგიერთი ფონეტიკური ცვლილების ახსნისათვის.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ მოვლენის უფრო ღრმა შესწავლის ნიადაგზე შეიძლება გადაწყდეს არა მარტო ქართული. არამედ სხვა ენათა მრავალი ფონეტიკური საკითხი.

გ. ახვლედიანის ეს ახალი თეორია უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა მთელი რიგი ფონეტიკური საკითხების გადასაჭრელად.

დეცესიურ-აქცესიურობის თეორიის საფუძველზე გაირკვა აქცესიურ კომპლექსთა წარმოთქმის სუბერაციის (დაძლევის) ხერხები ქართველურსა და ევროპულ ენებში. ავტორმა ცხადყო, რომ აქცესიური კომპლექსებისათვის უმეტესად ჩვეულებრივია პროგრესული ასიმილაცია სახმო სიმების მოქმედების მიხედვით, ხოლო დეცესიურისათვის — რეგრესული.

კიდევ ერთი ახალი ფონეტიკური კანონზომიერება, რომლის აღმოჩენა ეკუთვნის გ. ახვლედიანს, არის ხშულთა დისიმილაციური გამყდრება. ჯერ კიდევ ნაშრომში „ოსური ენის ისტორიისათვის“ (1941) გ. ახვლედიანი დაუკვირდა ქართული ენიდან ოსურში შე-

სულ აბრუპტივიან სიტყვებს და იმ ფონეტიკურ სახეცვალებას, რაც განიცადა ამგვარმა სიტყვებმა ახალ ენობრივ გარემოში. ორი აბრუპტივის შემცველი ქართული სიტყვები ოსურში შეიცვალა და პირველი აბრუპტივი გამქდერდა. შემდგომ იგივე მოვლენა ავტორმა დაადასტურა ძველსა და ახალ ქართულში, მთის კილოებში, სვანურში.

იდეებით მდიდარია და ფაქტობრივი მასალის სიღრმით გამოჩნეული გიორგი ახვლედიანის გამოკვლევა „ბგერათმონაცვლეობის ზოგიერთი საკითხი ქართულში“ (1948 წ.). ავტორი გამოყოფს პოზიციურ ბგერათმონაცვლეობას და ისტორიულ ბგერათმონაცვლეობას, რომელსაც ეკისრება სემანტიკური და გრამატიკული დანიშნულება. პირველს იგი უწოდებს ფონეტიკურს, მეორეს — ფონოლოგიურს. პირველადია ფონეტიკური პროცესი, მაგრამ არაიშვიათია, როდესაც ბგერის უტოლფუნქციო სახესხვაობები მოიპოვებენ ფონემის ფუნქციას და ამ გზით ისინი გრამატიზდებიან ან სემანტიზდებიან. ამ ნაშრომში გ. ახვლედიანმა ჩამოაყალიბა აპოფონიის ძირითადი სახეები ქართულში.

გ. ახვლედიანის ცალკეული ფონეტიკური გამოკვლევების ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს 1930 წელს გამოსული „ზოგადი ფონეტიკის ლექციები“ (ლითოგრაფიული გამოცემა). 1938 წელს დღის სინათლეზე გამოვიდა „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები“, ხოლო 1949 წელს — „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“. რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი — ზოგადი ფონეტიკის შესავალი — ივარაუდება ზოგადი ფონეტიკის კურსის სახელმძღვანელოდ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის, მეორე ნაწილი — ზოგადი ფონეტიკის ზოგიერთი პრობლემა — შეიცავს მეტწილად ზოგადფონეტიკური საკითხების განხილვას, საკითხებისა, რომელთაგან უმრავლესი პირველად დასმული ავტორის მიერ ჩვენს მეცნიერებაში და განხილულია მეტწილად ქართულ-ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა მასალაზე; ზოგიერთი მათგანი, რომელთა შესახებ წინათაც ყოფილა მსჯელობა ფონეტიკურ ლიტერატურაში, ავტორის მიერ განხილულია იმავე მასალაზე და უმთავრესად ახალი გაშუქებით. პირველთა რიცხვს ეკუთვნის: ჰარმონიულ ხშულთა ორი სისტემა ქართულში, ქართულის ხშულთა მეექვსე სამეული, თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსების სუპერაციის საკითხისათვის, ყრუ, mediae ქართულში, აბრუპტივები ანუ მკვეთრი ხშულები ქართულში, ხშულთა

დისიმილაციური გამქვრივების საკითხისათვის, ხმოვანთა და თან-
ხმოვანთა ერთმანეთისაგან წარსხვავების საკითხისათვის, ფონეტი-
კა და ლოგოპედია, ახალი გამოქვებითაა წარმოდგენილი საკითხები
ბგერათმცოდნეობის ქართულში, ვ-ს გადასმისა, დიალექტთა შე-
რევისა და აფხაზური ენის თანხმოვან ფონემათა კლასიფიკაციისა.

ქართულ ქართველური ენების მონაცემები გ. ახვლედიანმა
გამოიყენა ზოგადფონეტიკური მოვლენების დასახასიათებლად, ე.
ი., თუ ისრე, მაგალითად, ფონეტიკის ზოგადი კურსი უპირატესად
ინდოევროპული ენების მასალაზე იყო აგებული, გ. ახვლედიანის
წყალობით ამ ზოგადი კურსის სტრუქტურაში ამიერიდან ქართვე-
ლურ ენათა მონაცემებიც შევიდა, — მონაცემები, რომლებიც უნდა
შევაფასოთ თეორიული დებულებების არა მხოლოდ უბრალო
ილუსტრაციად. ეს კონკრეტული მასალა მოწოდებულია, ახალი
გაშუქებები შეიტანოს ზოგადი საკითხების კვლევა-ძიებაში.

საკუთრივ ქართული ისტორიული ფონეტიკის თვალსაზრისით
დიდად საყურადღებოა გიორგი ახვლედიანის ნაშრომი ქართული
ბგერების ისტორიული გამძლეობის შესახებ. ეს პრობლემა მან
დასვა მხარეთმცოდნეობის მეორე ყრილობაზე, რომელიც ჩატარ-
და ქ. ბათუმში 1925 წელს. გამოქვეყნებულია მოხსენების ვრცელი
თეზისები.

გ. ახვლედიანმა მოგვცა ქართული ბგერების კლასიფიკაცია. მი-
სი დაკვირვებები ქართულ კონსონანტიზმზე და ვოკალიზმზე უაღ-
რესად პროდუქტიული აღმოჩნდა და ამ მიმართულებით მიღებული
შედეგი სახელმძღვანელოებში შევიდა, როგორც მეცნიერების მიღ-
წევა და უდავო დებულებების საფუძველზე გამომუშავებული კა-
ნონზომიერება.

გ. ახვლედიანის სახელთან არის დაკავშირებული ისეთი რთუ-
ლი ფონეტიკური სისტემის ენის ბგერათა შესწავლა და კლასიფიკა-
ცია, როგორცაა აფხაზური. ჯერ კიდევ 1926 წელს გ. ახვლედიანმა
გამოაქვეყნა ნაშრომი „მასალები აფხაზურ ბგერათა ფიზიოლოგი-
ისათვის“, სადაც, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, გამოკვლეუ-
ლია აფხაზური ენის თანხმოვნების ფიზიოლოგიური ბუნება.

ფასდაუდებელი ამაგი დასდო გ. ახვლედიანმა ქართული მეც-
ნიერული ტერმინოლოგიის დამუშავებას. მისი მონაწილეობით დად-
გენილია მრავალი სპეციალური დარგის ტერმინოლოგია (მაგალითად,
ლიტერატურის, ენათმეცნიერების, ფიზიკა-მათემატიკური, ტექნი-
კური, სოფლის მეურნეობისა და სხვა ტერმინები).

გ. ახვლედიანს, როგორც მკვლევარს, იზიდავდა ინდოევროპულ ენათა ოჯახის ა) ინდური ჯგუფი, ბ) ირანული ჯგუფი, გ) სლავური ჯგუფი.

გ. ახვლედიანი პირველია, რომელმაც ჩვენში ინდოევროპულ ენათა კვლევა მკვიდრ ნიადაგზე დააყენა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გ. ახვლედიანი თბილისის უნივერსიტეტში თავიდანვე კითხულობდა ძველი ინდურის — სანსკრიტის კურსს. 1920 წელს გამოვიდა მისი წიგნი: „სანსკრიტი — მოკლე გრამატიკა და ნაწყვეტები კლასიკური სანსკრიტიდან და რიგვედიდან ლექსიკონითურთ“.

ამ წიგნის გამოცემა ჩვენს სამეცნიერო ცხოვრებაში დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტად უნდა ვაღიაროთ, რამდენადაც ამგვარი ნაშრომის შექმნა და დაბეჭდვა ჩვენი ნორჩი უნივერსიტეტის აკადემიურ პრესტიჟზე მეტყველებდა და მეცნიერულ დისციპლინათა მრავალფეროვნებას ადასტურებდა.

კლასიკური ინდურის გრამატიკული აღნაგობის სხარტ და ზუსტ დახასიათებას მოსდევს შერჩეული საკითხავი მასალა ინდური შრიფტით, რომელიც მეორდება ლათინური ტრანსკრიპციით, ბოლოს დართულია ტექსტებში მოცემული სიტყვების ლექსიკონი.

ინდოევროპულ ენათა ირანული ჯგუფის ერთ-ერთი წევრი — ოსური დიდი ხანია იპყრობს საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ცნობილი სპეციალისტების ყურადღებას. ეს ენა იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ საგულისხმო საკითხები ისმის ქართულ ენასთან კონტაქტების თვალსაზრისით, რაც შედეგია ქართველთა და ოსთა კულტურულ-ისტორიული ურთიერთობისა. ამ ენობრივ კონტაქტებს იკვლევდნენ: აკად. ვ. მილერი, აკად. ნ. მარი, პროფ. ვ. აბაევი და სხვა გამოჩენილი მეცნიერები, რომელთაც გვერდში ამოუდგა გ. ახვლედიანი და ამ დარგში მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო. გარდა ამისა, ჩვენს მეცნიერს, როგორც ინდოევროპეისტს, თავისთავადაც აინტერესებდა ოსური ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და ლექსიკის საკითხები.

გ. ახვლედიანის დაკვირვებები ოსურ (resp. ირანულ) მასალაზე არათუ გაზიარებულია საგნის სპეციალისტების მიერ, არამედ ამ დაკვირვებებმა აღძრეს ახალი საკითხები და შუქი მოჰფინეს მანამდის უცნობ ფონეტიკურ კანონზომიერებებს. ეს კი მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა და მჭევრმეტყველურად მოწმობს ქართველი ირა-

ნისტის მიერ მიღებული შედეგების დიდ მეცნიერულ ღირებულებას.

როგორც ზემოთ ითქვა გ. ახვლედიანმა ოსური ენის მასალაზე დაადგინა დისიმილაციური გამსყდრების წესი, რომლის უნივერსალიზმი ჩვენი ენების მასშტაბით სრულიად უდავო გახდა.

გ. ახვლედიანის სახელთანა დაკავშირებული ოსური ენის მთელი რიგი ფონოლოგიური მოვლენების კვალიფიკაცია. ასეთია, მაგალითად, პროთეტული ხმოვნის გამოკვლევა ოსურში. იალღუზიდის ქართულიდან ოსურად სათარგმნ ტექსტებში არაიშვიათად გვხვდება „ჰ“ სიტყვის თავში (ირანულ დიალექტში, რომელიც სალიტერატურო ოსურის საფუძველია, მას არავითარი შესატყვისი არ მოეპოვება). არც აკადემიკოს მილერს და არც აკადემიკოს შეგრენს ამ მოვლენისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. გ. ახვლედიანმა სპეციალურ გამოკვლევაში „პროთეტული ხმოვნის საკითხისათვის ოსურში“ (1923) შეისწავლა ეს საკითხი და მიიღო დასკვნა, რომ აქ საქმე გვაქვს პროთეტულ ხმოვანთან.

განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა გ. ახვლედიანის ნაშრომებმა ოსური დიალექტოლოგიის დარგში. ამ საგანზე მან გამოთქვა და დაასაბუთა მეტად მნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ახალ პერსპექტივებს შლის ოსური ენის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით. ჩვენმა მეცნიერმა შეასწორა აკად. ვ. მილერის შეხედულებები და საოპერაციო მასალად გამოიტანა, ერთი მხრივ, იალღუზიდის ტექსტები და, მეორე მხრივ, საკუთარი დიალექტოლოგიური ჩანაწერები.

დიდი ამაგი დასდო გ. ახვლედიანმა ოსური ენის ტექსტოლოგიას. მის სახელთან არის დაკავშირებული ოსური მწერლობის ფუძემდებლის ივანე იალღუზიდის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა. გ. ახვლედიანმა, პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში, ჯეროვნად დააფასა იალღუზიდის დეაწლი და როლი ოსური ტექსტოლოგიის ისტორიაში. მან მოგვცა ვ. მილერისა და სხვათა მიერ გამოთქმული შეხედულებების კრიტიკა და ფაქტობრივი მასალის შესანიშნავი ანალიზის საფუძველზე წარმოაჩინა იალღუზიდისეული ტექსტების ფუნდამენტური მნიშვნელობა ოსური ენის შესწავლის დარგში. გიორგი ახვლედიანმავე გამოავლინა და შეისწავლა იალღუზიდის ხელნაწერი (1802 წლისა), რომელიც უძველესია ამ ავტორის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში და დიდად საყურადღებოა მეცნიერებისათვის.

შედეგები, რომლებიც მიიღო იალღუზიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის დარგში, გ. ახვლედიანმა მოახსენა ორიენტალისტთა XVII საერთაშორისო კონგრესს ოქსფორდში 1929 წელს. მოხსენებამ სპეციალისტთა წრეებში ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

გ. ახვლედიანი იკვლევდა ქართულ-ოსურ პრობლემატიკას, ენობრივ შეხვედრებს, საუკუნეთა მანძილზე რომ არსებობს ქართველებისა და ოსების ისტორიული კავშირთიერთობის პირობებში. ამ სფეროში შესანიშნავი ნაშრომები მოგვცა გამოჩენილმა ირანისტმა პროფ. ვ. აბაევმა, რომელიც ქართულის კარგი მცოდნეცაა. გ. ახვლედიანის გამოკვლევებში საპატიო ადგილი ეთმობა ვ. აბაევის დამსახურებას და ბევრი აბაევისეული დებულება შემაგრებულია და განმტკიცებული ახალი მასალებითა და გაშუქებებით. ამასთანავე გ. ახვლედიანმა ფარდა ახადა დღემდე უცნობ ენობრივ კონტაქტებს და თავისი წვლილი შეიტანა ამ პრობლემის დამუშავებაში.

ოსურ-ქართული პარალელების ძიების არაერთი და ორი ნიმუში და საყურადღებო მიგნებაა თავმოყრილი გიორგი ახვლედიანის ფუნდამენტური მნიშვნელობის წიგნში — «Сборник избранных работ по осетинскому языку» (I), რომელიც 1960 წელს გამოსცა თბილისის უნივერსიტეტმა.

გ. ახვლედიანმა საფუძვლიანი საუნივერსიტეტო განათლება მიიღო, უწინარეს ყოვლისა, სლავთმცოდნეობაში: მან დაამთავრა ფილოლოგიური ფაკულტეტი სლავურ-რუსული განხრით და აღიზარდა მოწინავე რუსული ენათმეცნიერების ტრადიციებზე. თბილისის ახლადგახსნილ უნივერსიტეტში გ. ახვლედიანი იმთავითვე კითხულობდა ლექციებს რუსული ენის ისტორიაში, რუსულ დიალექტოლოგიაში.

გ. ახვლედიანის პირველ მეცნიერულ ნაშრომში შესწავლილია ნარნარა და ცხვირისმიერი თანხმოვნები სლავურ ენებში.

გ. ახვლედიანი ავტორია რუსული ენის გრამატიკული ნაშრომებისა.

„რუსული ენის გრამატიკა“, რომელიც დაიბეჭდა 1919 წელს, დაფუძნებულია მეცნიერულ პრინციპებზე და მეთოდოლოგიურად პირველი სახელმძღვანელოა, სადაც ფონეტიკური და მორფოლოგიური მოვლენები ალაგ-ალაგ განხილულია ქართულ ენასთან შეპირისპირებით.

შემდგომ წლებში გ. ახვლედიანმა შექმნა ფუნდამენტური წიგნი «Ученик грамматики русского языка (для груз. школ)», რომლის მნიშვნელობა არ შეიძლება შემოიფარგლოს სახელმძღვანელოს მიზან-ამოცანებით. ეს არის პირველი მეცნიერული გრამატიკა რუსული ენი-სა ჩვენში, ამსახველი ზოგ ნაწილში რუსულ-ქართული გრამატიკული მოვლენების პარალელური შეპირისპირებისა; რუსულ-ქართული გრა-მატიკული კატეგორიები გვერდიგვერდაა დახასიათებული.

გ. ახვლედიანი ცნობილია, აგრეთვე, როგორც ლოგოპედი. მი-სი დამსახურებაა ლოგოპედიის, როგორც ფონეტიკის პრაქტიკულად გამოყენების ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დარგის, განვითარება საქართველოში. „სრულიად განსაკუთრებულია ფონეტიკის მნიშვნე-ლობა ლოგოპედიისა და სურდოპედაგოგიისათვის; პირველი ასწო-რებს ენამოშლილობის სხვადასხვა ფორმებს (ენაჩლუნგობას, ენა-ბლუობას...), მეორე — ყრუმუნჯებს უფითარებს ბგერითს მეტყვე-ლებასო“, ამბობს ლოგოპედიის ფუძემდებელი ჩვენში.

გ. ახვლედიანი დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ლოგოპედიური მუშაობის მტკიცე ბაზა, სადაც გიორგი ახვლედიანის ტიტუტში. აქ მუშაობდნენ ენათმეცნიერები და ექიმები. ეს იყო ლოგოპედიური კადრების სამჭედლო, სამეცნიერო და პრაქტიკული ლოგოპედიური მუშაობის მტკიცე ბაზა, სადაც გიორგი ახვლედიანის ხელმძღვანელობით არა ერთი და ორი სპეციალისტი აღიზარდა, არა ერთსა და ორ ენამოშლილს მეტყველება გამოუსწორდა.

გ. ახვლედიანის ინიციატივით შექმნილმა ლოგოპედთა ჯგუფმა დიდი მუშაობა გასწია სამამულო ომის დროს საევაკუაციო ჰოსპი-ტლებში მოთავსებული კონტუზირებული და მეტყველებადაკარგუ-ლი ჯარისკაცების განსაკურნავად. მრავალ ადამიანს აღუდგა სწორი მეტყველება, თუკი მეტყველების დარღვეულობა ფუნქციონალური ხასიათისა იყო და არა ორგანულისა.

გ. ახვლედიანისავე ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საქარ-თველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში ჩამოყა-ლიბდა ლოგოპედიური განყოფილება, სადაც გაიშალა უმთავრესად თეორიული მუშაობა ლოგოპედიის დარგში.

გ. ახვლედიანისათვის ნიშანდობლივი პიროვნული ტაქტი, პე-დაგოგიური ნიჭი და არაჩვეულებრივი განსწავლულობა მტკიცე სა-ფუძველი იყო იმისათვის, რომ მას აღეზარდა მკვლევართა ახალი ძალები.

გ. ახვლედიანის ყოფილი მოწაფეები დღეს ამშვენებენ უმაღლეს სასწავლებლებს თუ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს. მრავალი მათგანი გამოჩენილი მეცნიერია — აკადემიკოსები, პროფესორები, დოცენტები...

გ. ახვლედიანმა მეცნიერთა კადრები აღზარდა შემდეგ დარგებში: ზოგადი ენათმეცნიერება, ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა, რუსული ენათმეცნიერება, ინდოლოგია, გერმანისტიკა, რომანისტიკა, ირანისტიკა, ლოგოპედია. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაიწერა რამდენიმე ათეული დისერტაცია.

შოთა ძიძიგური

ГЕОРГИЙ САРИДАНОВИЧ АХВЛЕДИАНИ

(Краткий обзор научной и общественной деятельности)

Георгий Сариданович Ахвледзиани был многогранным исследователем и ему довелось работать в нескольких областях лингвистической науки. Им созданы важные труды по общему языкознанию, общей и экспериментальной фонетике, логопедии, индоевропейским и картвельским языкам; некоторые из них являются основополагающими и раскрывают широкие перспективы в науке.

Ахвледзиани как ученому были чужды замкнутость и ограниченность узкими профессиональными интересами. Он был человеком с широкими общественными устремлениями. Георгий Сариданович принял деятельное участие в основании Тбилисского университета и своим авторитетом вместе с другими первыми профессорами университета снискал славу нашему молодому высшему учебному заведению. Уже с тех пор Г. Ахвледзиани являлся одним из руководителей развития науки в Грузии и большим энтузиастом культурного возрождения республики. При его активном участии в Грузии было основано несколько педагогических институтов (он являлся директором либо заведующим учебной частью некоторых из них). Г. Ахвледзиани был одним из основателей Академии наук Грузии и здесь в разное время занимал руководящие посты. Грузинский ученый (вместе с А. Шанидзе) являлся инициатором основания «Грузинского языковедческого общества» и его бессменным председателем, он был и председателем секции научных работников Грузии (в продолжение десяти лет), основателем ряда научных кабинетов и лабораторий, активным участником международных и все-союзных научных конгрессов, одним из основателей обще-

ства «Знание» и председателем одной его секции, председателем одного из отделов Грузинского общества дружбы и культурных отношений с зарубежными странами, членом постоянной правительственной комиссии по установлению норм литературного грузинского языка, председателем ученого совета сценической речи Театрального общества Грузинской ССР и др.

Как говорил академик И. Джавахишвили, «Создание отрасли языкознания в Тбилисском университете является заслугой трех лиц: проф. И. Кипшидзе, проф. А. Шанидзе и проф. Г. Ахвледиани. К сожалению, ввиду преждевременной кончины первого, тяжелое бремя легло на плечи двух последних».

Г. Ахвледиани родился 13 апреля 1887 г. в сел. Дерчи (в Лечхуми) в семье Саридана Ахвледиани. Мать Георгия — Евграсти была урожденная Асатиани. Отец ученого 15 лет состоял на военной службе и был награжден орденами и медалями.

Грамоте маленького Георгия обучила мать. В 1894 г. он поступил в Дерчскую приходскую школу; далее продолжил учебу в Кутаисской дворянской гимназии (здесь грузинский язык и литературу ему преподавал Силован Хундадзе), затем перешел в Тбилисскую дворянскую гимназию. Во время революции 1905 г. Георгий участвовал в нелегальной работе, за что в 1906 г. его арестовали и приговорили к ссылке в Архангельск. В 1908 г. он закончил гимназию, а в 1910 г. уже является студентом историко-филологического факультета Харьковского университета.

В университете Г. Ахвледиани получил обстоятельное образование как в области индоевропейского языкознания, так и классической филологии.

В Харьковском университете Георгий Сариданович основал кружок студентов-революционеров, из-за чего находился под арестом 6 месяцев.

Во время пребывания в университете Г. Ахвледиани написал научный труд «Очерк истории плавных и носовых сог-

ласных в санскрите, греческом, латинском и славянском языках», который заслужил высокую оценку.

Рецензию на этот первый научный труд Г. С. Ахвледиани опубликовал в 1914 г. проф. И. М. Эндзелин в «Записках Имп. Харьковского университета».

Высокий научный уровень выполнения этого сочинения и то признание, которое оно получило в рецензии Эндзелина — являвшегося крупным авторитетом в области сравнительно-исторического языкознания, окончательно определили будущность и научную перспективу молодого Г. Ахвледиани.

В 1915 г. Г. Ахвледиани был оставлен при Харьковском университете, при кафедре сравнительно индоевропейского языкознания, для подготовки к профессорской деятельности (по современной терминологии — в аспирантуре).

Вскоре молодой Георгий был направлен в Петербургский университет, где слушал лекции таких видных ученых, как Н. Марр (по грузинской филологии), К. Залеман (иранская филология), Ф. Щербацкий (индийская филология), Л. Щерба (общая и экспериментальная фонетика) и др.

Когда развернулась работа по основанию в Тбилиси университета, Г. Ахвледиани находился среди первых славных деятелей нашего высшего учебного заведения.

В Тбилисском университете Г. С. Ахвледиани довелось быть пионером в таких дисциплинах, как общее языкознание и общая фонетика.

Г. С. Ахвледиани был заведующим кафедрой общего языкознания. Кафедра выполнила историческую роль в деле зарождения и развития языковедческого мышления в Грузии.

Как лингвист с широчайшим образованием Г. С. Ахвледиани сначала же читал лекции в различных областях языкознания: введение в языкознание, общее языкознание, история лингвистических учений, общая фонетика, санскрит, греческий язык, история и диалектология русского языка, сравнительная грамматика индоевропейских языков. Помимо этого, некоторое время он читал курс истории западноевропейской литературы, преподавал логопедию и др.

8 февраля 1923 г. по инициативе Г. Ахвледиани было создано учредительное собрание грузинских языковедов и

филологов, которое основало «Грузинское языковедческое общество».

В 1932 г. Г. Ахвледиани был избран членом Международного общества по экспериментальной фонетике, в 1940 г.—членом Американского лингвистического общества.

Г. Ахвледиани как пользующийся широкой известностью в Советском Союзе и за рубежом ученый в 1939 г. был избран членом-корреспондентом АН СССР.

Вместе с другими видными грузинскими учеными Г. С. Ахвледиани является одним из основателей Академии наук Грузинской ССР. Он входил в первый состав членов Академии (1941) и в разное время выполнял различные ответственные должности — академика-секретаря Академии, председателя Отделения общественных наук, директора Института языкознания и др.

В 1942 г. Г. Ахвледиани вступил в ряды Коммунистической партии Советского Союза.

Г. Ахвледиани был награжден орденом Ленина, орденом Трудового Красного Знамени, «Знак Почета», Октябрьской революции и медалями.

Г. Ахвледиани скончался 7 июля 1973 г. и похоронен в саду Тбилисского университета.

Читать пропедевтический курс по языкознанию в Тбилисском университете Г. Ахвледиани начал в 1918 г.

В 1918—1919 гг. была опубликована в трех частях книга молодого профессора «Введение в языковедение». Это был первым грузинским университетским учебником, изданных Тбилисским университетом.

Заслуживающим внимания является оценка А. Чикобава, данная этой книге: «26 лет тому назад вышло в свет «Введение в языковедение» (в трех частях) Г. Ахвледиани. Это был первым «Общим языкознанием» на грузинском языке. Этот труд, от существующих в то время на русском языке аналогичных учебников, отличается богатством содержания и высоким уровнем разработки вопросов. По этому учебнику не одно поколение на грузин-

ском языке ознакомилось с основами языкознания». (Общее языкознание, II, 1945, подчеркнута нами — Ш. Д.).

Одним из основных достоинств и особенностей составленного Г. Ахвледиани курса является то, что в нем теоретические вопросы освещены не только на материале европейских языков, а иллюстрированные данные приводятся из грузинского языка. Таким образом, это первый учебник по языкознанию, в котором общелингвистические понятия и явления освещены на основе анализа звуковой системы и морфологическо-синтаксических и лексических фактов грузинского языка.

Г. Ахвледиани преимущественно занимался фонетикой. Он заложил основу развитию в Грузии общей и экспериментальной фонетики.

Университетский курс по фонетике впервые у нас прочел Г. Ахвледиани; первые научные труды по фонетике принадлежат ему же, он первым основал и экспериментальные фонетические лаборатории; ему же принадлежит заслуга создания систематического учебного курса в этой области.

Фундаментальная книга Г. Ахвледиани «Основы общей фонетики» является одной из наилучших в мировой фонетической литературе. С его именем связано исследование общих проблем фонетики на материале грузинского языка.

Создание прочной основы для фонетических исследований соответственно современному уровню развития науки требовало организацию экспериментальных лабораторий и кабинетов. До 30-х годов в Тбилиси в качестве метода фонетических исследований главным образом применялось непосредственное наблюдение над живым произношением и историко-сравнительное изучение фонетических явлений картвельских и кавказских языков. Уже тогда назрела необходимость развертывания экспериментальных исследований на соответствующей научной базе. По инициативе и под руководством Г. Ахвледиани в Тбилисском университете был организован кабинет экспериментальной фонетики, которым заведовал он сам. В 1936 г. был создан кабинет фонетики в Институте языка, истории и материальной культуры им. Н. Мар-

ра. И этим кабинетом руководил Г. Ахвледиани. Здесь была заложена прочная основа кимографической и фонографической записи грузинской, чанской, сванской, абхазской, лакской, а также среднеазиатской арабской живой речи. Сравнительное изучение звукового состава картвельских и кавказских языков производилось путем составления синоптических таблиц на основании учета существующей научной литературы и экспериментальной проверки звуков.

В 1922 г. был опубликован замечательный труд Г. Ахвледиани «Смычногортанные согласные в грузинском языке», который имеет особое значение с точки зрения общей фонетики. В нем установлена природа абруптивов.

Г. Ахвледиани установил одну из важнейших тенденций грузинского произношения заключающуюся в стремлении к одновременности при произношении комплексов согласных; на этом основании находят объяснение своеобразия грузинского произношения.

В труде «Вопросы общей и грузинской фонетики» (1938) ученый обратил внимание на последовательность артикуляционных точек при соединении грузинских согласных. Различной последовательности в соединении согласных автор дал названия: «децессивная» и «акцессивная», используя их для установления слогоразделения.

Впоследствии Г. Ахвледиани опубликовал труд: «Регрессивно-диссимилятивное исчезновение гуттуральных в Грузинском» (1945).

В 1945 г. когда специфика такой последовательности дала возможность объяснить одну закономерность старого французского языка, эта последовательность была названа именно «акцессивной», а противоположная ей — «децессивной». Констатация различия в акцессивно-децессивной последовательности образования согласных стала реальным основанием для объяснения некоторых фонетических изменений.

Автор подчеркивал, что многие фонетические вопросы могут быть разрешены на основании более глубокого изучения этого явления, и не только в отношении грузинского языка.

Эта новая теория Г. Ахвледиани стала весьма плодотворной для решения целого ряда фонетических вопросов.

На основании децессивно-акцессивной теории нашли объяснение правила суперации акцессивных комплексов в грузинском и европейских языках. Автор показал, что для акцессивных комплексов в большинстве случаев характерна прогрессивная ассимиляция соответственно действию голосовых связок, а для децессивных — регрессивная.

Еще одной новой фонетической закономерностью, открыть которую довелось Г. С. Ахвледиани, является диссимилятивное озвончение смычных. Еще в своем труде «К истории осетинского языка» (1941) Г. Ахвледиани сделал наблюдение над вошедшими из грузинского языка в осетинский словами с абруптивами, а также и над теми фонетическими изменениями, которые претерпели подобные слова в новой языковой среде. Грузинские слова с двумя абруптивами в осетинском видоизменились, первый абруптив был озвончен. Впоследствии такое же явление автором было засвидетельствовано в древнегрузинском и новогрузинском языках, в горских говорах, в сванском.

Богатой идеями и отличающейся глубиной фактического материала является труд Г. Ахвледиани «Некоторые вопросы чередования звуков в грузинском языке» (1948). Автор различает позиционные и исторические изменения звуков, которые имели семантическое и грамматическое назначение. Первое автором названо фонетическим, второе же — фонологическим. Первичным является фонетический процесс, однако не редко случается, что неравнофункциональные разновидности звука приобретают функции фонемы и этим путем они грамматизируются или семантизируются. В этом труде Г. Ахвледиани сформулировал основные виды апофонии в грузинском.

Отдельные фонетические исследования Г. Ахвледиани как бы нашли обобщение в опубликованных в 1930 г. лекциях по общей фонетике: «Фонетика, речевой звук и письмо» (литографическое издание). В 1938 г. вышла в свет его книга: «Вопросы общей и грузинской фонетики», а в 1949 г. — «Ос-

новы общей фонетики», в двух частях. Первая часть — введение в общую фонетику — предназначалась в качестве учебника курса общей фонетики для студентов филологического факультета университета, а вторая часть — некоторые проблемы общей фонетики, содержит в основном разбор общefonетических вопросов, среди которых большинство автором поставлено впервые в нашей науке и рассматривается главным образом на материале картвельских и горских (кавказских) языков, некоторые же из них, которые и раньше разбирались в фонетической литературе, автором рассматриваются на том же материале, но в основном в новом освещении. К числу первых относятся: две системы гармоничных смычных в грузинском, шестой ряд тройки смычных грузинского языка, к вопросу о суперации акцессивных комплексов согласных. Глухой *mediae* в грузинском, абруптивы или гортанные смычные в грузинском, к вопросу о диссимилятивном озвончении смычных, к вопросу о различии друг от друга гласных и согласных, фонетика и логопедия. В новом освещении даются вопросы о чередовании звуков в грузинском, перестановки „з“ (в), смещении диалектов и классификации согласных фонем в абхазском языке.

Данные картвельских языков Г. Ахвледиани использовал для характеристики общefonетических явлений. Если раньше, к примеру, курс фонетики преимущественно был построен на материале индоевропейских языков, благодаря Г. Ахвледиани, в структуру этого общего курса вошли и данные из картвельских языков. При этом, этот конкретный материал следует расценивать не только как простую иллюстрацию к общим положениям, а как данные, призванные вносить новое освещение в исследование общих вопросов.

С точки зрения собственно грузинской исторической фонетики весьма важным является труд Г. Ахвледиани об исторической устойчивости системы звуков грузинского языка. Эта проблема им была поставлена на втором съезде краеведов, состоявшемся в г. Батуми в 1925 г. (Опубликованы расширенные тезисы доклада).

Г. Ахвледиани принадлежит классификация звуков грузинского языка. Его наблюдения над грузинскими консонантизмом и вокализмом оказались необычайно продуктивными и полученные в этом направлении результаты вошли в учебники как достижение науки и закономерность установления на основе неоспоримого обоснования.

С именем Г. Ахвледиани связано изучение и классификация звуков имевшего такую сложную фонетическую систему языка, каким является абхазский. Еще в 1926 г. Г. С. Ахвледиани опубликовал труд: «Материалы к физиологии абхазских звуков», в котором, как это явствует и из заглавия, исследована физиологическая природа согласных абхазского языка.

Неоценимый вклад внес Г. С. Ахвледиани в разработку грузинской научной терминологии. При его участии разработана терминология многих научных отраслей (например, литературы, языкознания, физико-математических, технических, сельскохозяйственных и других наук).

Как ученого Г. Ахвледиани из индоевропейской семьи языков привлекали а) индийская группа, б) иранская группа, в) славянская группа.

Г. Ахвледиани первым поставил у нас на прочную основу изучение индоевропейских языков. Как уже было отмечено, он в Тбилиском университете с самого же начала читал курс древнеиндийского языка — санскрита. В 1920 г. была опубликована его книга: «Санскрит. Краткая грамматика и отрывки из классического санскрита и Ригверды со словарем».

Издание этой книги в нашей научной жизни явилось событием большого культурно-исторического значения, поскольку создание и опубликование подобного труда говорило о престиже молодого грузинского университета и свидетельствовало о многосторонности изучаемых здесь научных дисциплин.

В труде за четкой и точной характеристикой грамматического строя классического индийского языка следует подобраный для чтения материал, набранный индийским

шрифтом и переданный в латинской транскрипции, а в конце дан и словарь.

Один из входящих в группу индоевропейских языков — осетинский язык давно привлекает внимание видных специалистов как в Советском Союзе, так и за рубежом. Этот язык заслуживает интереса и тем, что ставится вопрос о его контактах с грузинским, являющихся результатом грузино-осетинских культурно-исторических взаимоотношений. Эти языковые контакты исследовали: акад. В. Миллер, акад. Н. Марр, проф. В. Абаев и другие выдающиеся ученые, к которым присоединился и Г. Ахвледиани, достигнув в данной области значительных результатов. Помимо этого, наше то ученого, как специалиста по индоевропейским языкам, и сами по себе интересовали вопросы фонетики, морфологии и лексики осетинского языка.

Наблюдения Г. Ахвледиани над осетинским (resp. иранским) материалом не только разделяются специалистами данной области, но эти наблюдения породили новые вопросы и пролили свет на неизвестные до этого времени фонетические закономерности. А это является весьма важным фактором и наглядно свидетельствует о большой научной ценности полученных грузинским иранистом результатов исследования.

Как было отмечено выше, Г. Ахвледиани на материале осетинского языка установил правило диссимилятивного озвончения, универсализм которого в масштабе наших языков стал вполне очевидным.

С именем Г. Ахвледиани связана квалификация целого ряда фонетических явлений в осетинском языке. К таковым относится, например, исследование протетичного гласного в осетинском. В переведенных Ялгузисдзе с грузинского на осетинский язык текстах в начале слова нередко встречается ξ (в иранском диалекте, являющемся основой литературного осетинского языка, этот звук никакого соответствия не имеет). Г. Ахвледиани в своем специальном исследовании: «К вопросу о протетичном гласном в осетинском» (1923) изучил этот вопрос и пришел к выводу, что мы дело имеем именно с протетичным гласным.

Особый интерес заслужили труды Г. С. Ахвледиани в области осетинской диалектологии, где им высказаны и обоснованы имеющие большую важность положения, открывающие новые перспективы в отношении исследований истории осетинского языка. Наш ученый внес поправку во взгляд акад. В. Миллера и при этом в качестве оперативного материала использовал, с одной стороны, тексты Ялгузисдзе, а с другой, собственные диалектологические записи.

Большая заслуга принадлежит Г. С. Ахвледиани и в области текстологии осетинского языка. С его именем связано изучение литературного наследия основоположника осетинской литературы Ивана Ялгузисдзе. Г. Ахвледиани первым в научной литературе по достоинству оценил заслуги и роль Ялгузисдзе в истории осетинской текстологии. Он дал критический разбор высказанных Миллером и другими взглядов и на основании тщательного анализа фактического материала показал фундаментальное значение текстов Ялгузисдзе для изучения осетинского языка. Г. Ахвледиани выявил и изучил рукопись Ялгузисдзе (1802 года), являющуюся древней в литературном наследии этого автора и имеющую большую ценность для науки.

Полученные в области изучения литературного наследия Ялгузисдзе результаты были доложены Г. Ахвледиани на XVII международном конгрессе ориенталистов в Оксфорде в 1929 г. Доклад вызвал большой интерес среди специалистов.

Г. Ахвледиани интенсивно изучал грузино-осетинскую проблематику, языковые контакты, существовавшие в условиях многовекового исторического общения грузинского и осетинского народов. Замечательный труд в данной области создал выдающийся иранист В. Абаев, прекрасно владеющий грузинским языком. В исследованиях Г. С. Ахвледиани заслуги В. Абаева занимают почетное место и многие положения, принадлежащие этому ученому, находят дальнейшее обоснование и освещение со стороны Г. Ахвледиани. К тому же Г. Ахвледиани раскрыл ряд неизвестных до сих пор языковых контактов и внес свой вклад в разработку этой проблемы.

Не один заслуживающий внимания пример разыскания и выявления грузино-осетинских параллелей и весьма ценные наблюдения в данной области собраны в фундаментальном труде Г. Ахвледиани — «Сборник избранных работ по осетинскому языку» (1), опубликованном в 1960 г. Тбилисским университетом.

Г. Ахвледиани получил основательное университетское образование, в первую очередь, в области славяноведения; он окончил филологический факультет по славяно-русской специальности и был воспитан на традициях передового русского языкознания. Во вновь основанном Тбилисском университете Г. Ахвледиани с начала же читал лекции по истории русского языка, по русской диалектологии.

В первой научной работе Г. Ахвледиани изучены плавные и носовые согласные в славянском языке.

Г. Ахвледиани является автором трудов по грамматике русского языка. Его «Грамматика русского языка», опубликованная в 1919 г., основана на научных принципах и в методологическом отношении является первым учебником, где фонетические и морфологические явления порою рассматриваются в сопоставлении с грузинским языком.

В дальнейшем Г. Ахвледиани создал фундаментальный труд — «Учебник грамматики русского языка (для груз. школ)», значение которого нельзя ограничить рамками учебника. Это первая научная грамматика русского языка, разработанная у нас, в которой в некоторых случаях сопоставляются русско-грузинские грамматические параллели, ряд русско-грузинских грамматических категорий охарактеризован сопоставительно.

Г. Ахвледиани известен и как логопед. Его заслугой является развитие в Грузии логопедии как одной из весьма значительных областей практического использования фонетики. «Совершенно исключительное значение имеет фонетика для логопедии и сурдопедagogики; первая выправляет различные формы косноязычья (заикания и т. п.), вторая вырабатывает у глухонемых слоговую речь» — отмечал основоположник логопедии в Грузии — Г. Ахвледиани.

Г. Ахвледиани в продолжении многих лет руководил логопедией в Тбилисском институте нервно-функциональных заболеваний. Здесь работали языковеды и врачи. Это была кузница кадров логопедии, прочная база научной и практической работы в данной области, где под руководством Г. Ахвледиани были воспитаны многие специалисты, не один страдающий косноязычием смог исправить свою речь.

Созданная по инициативе Г. Ахвледиани группа логопедов провела большую работу во время Великой Отечественной войны Советского Союза в эвакогоспиталях по лечению, помещенных здесь контуженных и утративших дар речи военнослужащих. Многие выправили свою речь, если ее нарушение было функционального характера, а не органического.

По инициативе и под руководством Г. Ахвледиани в Институте языка, истории и материальной культуры им. Н. Марра Академии наук Грузии был создан логопедический отдел, где преимущественно была развернута теоретическая работа в области логопедии.

Характерные для Г. Ахвледиани тактичность, педагогическая способность и глубокая эрудиция являлись прочным основанием для того, чтобы им была воспитана целая плеяда молодых исследователей. Бывшие ученики Г. Ахвледиани сегодня успешно работают в высших учебных заведениях и научно-исследовательских учреждениях. Многие из них являются известными учеными — академиками, профессорами, доцентами.

Г. Ахвледиани воспитал кадры в следующих отраслях: общее языкознание, общая и экспериментальная фонетика, русское языкознание, индология, германистика, романстика, иранистика, логопедия. Под его непосредственным руководством было написано несколько десятков диссертаций.

Шота Дзидзигури

GIORGI S. AKHVLEDIANI

(An overview of his scholarly and public activities)

Giorgi S. Akhvlediani was a versatile scholar who worked in several branches of linguistics. To his pen belong major studies in general linguistics, general and experimental phonetics, logopedics, Indo-European and Kartvelian languages.

